აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 1 | 8 იანვარი 2018 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (№09-01-08/54, 28.12.2017წ)

დასახელება

ავტორი	ინიციატორი
უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია,	უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია,

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი
28.12.2017 წელი	წამყვანი კომისია: 11.01.18 წელი	

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-80 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

გთხოვთ, კანონის პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: 3 ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე დ. გაბ

ნინო ჩხეტია ნ. ჩხეტ

09-06-08/57
28. 12. 2017
4 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მუხლი 1. 2018 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 23 დეკემბრის №21-უ.ს.რ.ს კანონი (გაზეთი „აჭარა“ №146, 27.12.2008).

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე

ბაქვი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღების მიზეზია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები დგინდება იმავე კანონის დანართი №3-ით, თუმცა კანონის 36-ე მუხლის თანახმად აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდება 2021 წლიდან. 2021 წლამდე კი იმავე კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება შესაბამისი საშტატო ნუსხით და დგინდება არაუმეტეს ამ თანამდებობის პირებისათვის 2017 წელს გაცემული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მიხედვით. განსხვავებული წესით თანამდებობრივი სარგოს დადგენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში.

კანონის აღნიშნული რეგულაციებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების (სტატუსის შესაბამისად) თანამდებობრივი სარგოების დადგენა 2018-2020 წლებში მოხდება უმაღლესი საბჭოს საშტატო ნუსხით, რომელსაც დაამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

ვინაიდან, ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი საკანონმდებლო აქტით დარეგულირებული საკითხი დარეგულირებულია და მისი გადაწყვეტა ხორციელდება საქართველოს საკანონმდებლო აქტით, კანონპროექტის მიზანია, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 23 დეკემბრის კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) კანონპროექტის არსი;

კანონპროექტის შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ცხადდება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 23 დეკემბრის კანონი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

ე) კანონპროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე და ნინო ჩხეტია.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

29/12/2017
N 3451

3451-09-02-11-3-201712291433

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების

დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

(რეგ N 09-01-08/54. 28.12.2017წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ,, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი